Mariam Dokhnadze
Student, St Andrew the First-Called
Georgian University

Wartime Dynamics in Mid-20th-Century Palestine

(Abstract)

KEYWORDS: Conflict, Adaptation, Crisis, Israel, Palestine, Zionism, Bilu, Kibbutzim

The Arab-Israeli conflict between 1948 and 1972 fundamentally reshaped the political and security architecture of the Middle East, with reverberations that extended far beyond the region. Its complexity derives from an interweaving of long-term historical forces and immediate contingencies: the aftermaths of the First and Second World Wars, the disintegration of Ottoman and British imperial structures, the trauma of the Holocaust, and a constellation of competing national and religious claims. These factors combined to produce a contest in which Jews, Muslims and Christians, as well as numerous ethnic communities, pressed divergent narratives of belonging and territorial entitlement.

A careful study of this period shows that nationalism, religious identity and ethnic affiliation were not merely background conditions but active drivers of political choice and conflict dynamics. Such identities shaped perceptions of insecurity and injustice, informed mobilising ideologies, and hardened intractable positions. The years in question thus reveal recurrent cycles of confrontation and uneasy reprieve: episodes of relative quiet alternated with intense military clashes and protracted violence, and, in many instances, the resort to force supplanted possibilities of negotiated settlement.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Militarised confrontation became a primary instrument for pursuing political ends, whether to secure territory, deter adversaries, or consolidate state legitimacy. This prominence of military means produced severe humanitarian consequences: displacement, civilian casualties, economic dislocation and the erosion of social cohesion. Those consequences, in turn, generated further grievances and impeded the emergence of a durable compromise. The humanitarian dimensions of the conflict, therefore, demand sustained analytical attention alongside strategic and diplomatic considerations.

External intervention proved a decisive factor in shaping outcomes. Regional actors and global powers alike intervened – politically, materially, and militarily – altering local balances and creating new dependencies. During the Cold War, superpower rivalry intensified these dynamics: United States and Soviet policies, alliances and arms transfers both exacerbated hostilities and framed them within broader geopolitics. Consequently, efforts to manage or resolve the conflict were frequently constrained by external strategic imperatives as much as by local realities.

Although subsequent decades witnessed additional wars and shifting alignments, the period from 1948 to 1972 established enduring patterns in state formation, interstate relations and normative discourse in the Middle East. The legacies of this era continue to inform contemporary debates about security, terrorism, diplomacy and the role of international actors. Any credible pathway towards reconciliation must therefore engage with the historical contours of grievance and interest that emerged in these formative years, acknowledge the humanitarian costs borne by populations, and reckon with the enduring influence of external powers on regional circuits.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მარიამ დოხნაძე
სტუდენტი, წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

პალესტინის რეგიონის საომარი პერიპეტიები XX საუკუნეში

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, ადაპტაცია, კრიზისი, ისრაელი, პალესტინა, სიონიზმი, ბილუ, კიბუცები

შესავალი

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი 1948 წლიდან 1972 წლამდე გადამწყვეტი მოვლენაა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მთლიანად რეგიონზე, ჩამოაყალიბა მისი გეოპოლიტიკური ლანდშაფტი და გავლენა მოახდინა გლობალურ დინამიკაზე. ეს კონფლიქტი, რომელიც ხშირად განიხილება, გარდამავალ ეტაპად, ისტორიული, პოლიტიკური და იდეოლოგიური სირთულეებით ხასიათდება, რომლებიც თავად რეგიონს მიღმა ხდება ხოლმე რეზონანსული.

ისტორიული ფაქტორების შერწყმის შედეგად (მათ შორის, პირველი და მეორე მსოფლიო ომის შედეგების: ოსმალეთისა და ბრიტანეთის იმპერიების დაცემა, ჰოლოკოსტი, ეროვნული თუ რელიგიური კონფლიქტები) წარმოიშვა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი. XX საუკუნის ეს უმთავრესი ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ასახავს ებრაელების, მუსულმანების, ქრისტიანებისა და განსხვავებული ეთნოსის ხალხთა მისწრაფებებს, რომლებსაც საკუთარი ისტორიული სიმართლე და ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ.

ამ კონფლიქტის სათანადოდ აღსაქმელად, ნაციონალიზმის, რელიგიური იდენტობისა და ეთნიკური

BRAMS 2024 May
Volume 5, Issue 10
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

კავშირების სიღრმისეული აღქმაა საჭირო, რადგან სწორედ ასეთი ისტორიულ-პოლიტიკური ფესვებიდან აღმოცენდა ერთმანეთთან ვერშეგუების პრობლემა. დაპირისპირებული თვალსაზრისების მუდმივი შეჯახების გამო, ძალადობის ციკლი მრავალი წლის განმავლობაში გააგრძელა. მინავლებული გაღიზიანების ფონზე არსებული სიმშვიდის პერიოდებს დროდადრო ერწყმოდა ინტენსიური დაპირისპირების ამოფრქვევები.

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი რთული დავების გადასაჭრელად სამხედრო ძალის გამოყენების შედეგთა თვალნათელი ნიმუშია. ჩარევას მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისები, ადამიანური დანაკარგები, მოსახლეობის იძულებით გადაადგილება. თანაც, რეგიონში მშვიდობის დამყარების მიზნით არაადგილობრივი მონაწილენი აქტიურობდნენ.

1972 წლის შემდეგაც არაერთი დაპირისპირება მოხდა, მაგრამ სწორედ 1948-1972 წლების მოვლენებმა ჩამოაყალიბა ძირითადი გეოპოლიტიკური სიტუაცია და განსაზღვრა თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკა.

მრავალი დიპლომატიური მცდელობისა და სამშვიდობო ინიციატივის მიუხედავად, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი დღემდე გრძელდება, რაც გრძელვადიან შერიგებასა და მშვიდობის დამყარებასთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებს გახაზავს ისტორიული მტრობითა და კონკურენტული ინტერესებით აღსავსე რეგიონში. „ცივი ომის“ ეპოქაში ისეთი დიდი სახელმწიფოების, როგორიც იყო ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, საკითხის მოგვარების მცდელობაში ჩართვამ, არსებული კონფლიქტი კიდევ უფრო გაამწვავა. ჩამოყალიბდა ალიანსები, განისაზღვრა რეგიონში გავლენის გადანაწილების ახალი სტრატეგიები.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის შედეგები რეგიონის ფარგლებს სცილდება. ეს გავლენას ახდენს გლობალურ ხედვებზე ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა უსაფრთხოება, ტერორიზმი და ზესახელმწიფოების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში. ასეთი ხანგრძლივი კონფლიქტი ცალსახად მიუთითებს დიპლომატიისა და კომპრომისის აუცილებლობაზე, რათა მსგავსი გაჭიანურებული კონფლიქტები მოგვარდეს და უფრო სტაბილური, მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგი დამყარდეს.

1. პალესტინის რეგიონი

ისრაელ-პალესტინის ისტორიულ მიწასთან დაკავშირებით ტერმინოლოგიის საკითხი რთული და, ხშირად, პოლიტიზებულია. ტერმინი „პალესტინა“ საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა რეგიონის აღსანიშნად მრავალფეროვანი მოსახლეობით, სადაც ერთად ცხოვრობდნენ ებრაელები, არაბები, ქრისტიანები და სხვა მრავალი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისტორიული სახელწოდება აპრიორი არ გულისხმობს რომელიმე ჯგუფის საკუთრებას ან ექსკლუზიურობას.

ტერმინი „პალესტინა“ უძველესი წარმომავლობისაა. იგი გამოიყენებოდა ხმელთაშუა ზღვასა და მდინარე იორდანეს შორის მდებარე გეოგრაფიული არეალის აღსანიშნად, რომელიც მოიცავდა დღევანდელ ისრაელს, დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორს.

ბიბლიურ პერიოდში ასე ეწოდებოდა ისრაელისა და იუდეის გაერთიანებულ სამეფოებს. ეს მიწა ხან ეგვიპტელების მიერ კონტროლდებოდა, ხან ასირიელების, სპარსელებისა და რომაელების მიერ. ეს ისტორიული სახელწოდება 70 წელს წარმოიშვა, როდესაც ებრაელთა აჯანყება ჩაახშეს და იერუსალიმის მეორე ტაძარი გაანადგურეს რომაელებმა. მათ მიერ ამ

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

კონტროლირებად პროვინციას ლათინურად Syria Palaestina დაარქვეს, როგორც სადამსჯელო ღონისძიება ებრაელი მოსახლეობის წინააღმდეგ. ტერმინი მომდინარეობდა „ფილისტიადან“ (Philistia) ანუ „ფილისტინელების მიწას“ ნიშნავდა ლათინურად. ძველი ფილისტინელები სანაპირო რაიონებში ცხოვრობდნენ იმ დროს.

არაბებმა ეს მიწა 634 წელს დაიპყრეს, ხოლო 1516-1918 წლებში ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. 1920 წლიდან პალესტინად მოიხსენიებოდა იორდანიის დასავლეთით მდებარე ტერიტორია, რომელიც ბრიტანეთის კონტროლს ექვემდებარებოდა. ბრიტანეთის მანდატი პალესტინაზე 1948 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდის განმავლობაში, სახელწოდება „პალესტინა“ ოფიციალურ დოკუმენტებსა და რუკებზე გამოიყენებოდა. ბრიტანეთის მხრიდან ეს იყო კონკრეტული ტერიტორიის ადმინისტრაციული აღნიშვნის პრაქტიკა ისტორიული სახელით და არა რომელიმე ჯგუფის ექსკლუზიური საკუთრების ხაზგასმა. შესაბამისად, 1948 წელს ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა იმ მიწაზე, რომელსაც ისტორიულად ერქვა პალესტინა. ტრადიციული ტერმინი აქ VII საუკუნიდან მცხოვრები და XX საუკუნის II ნახევრიდან ებრაელების მიერ შევიწროებული პალესტინელი არაბების ტერიტორიული უფლებებისთვის ბრძოლის სინონიმად გადაიქცა.

თავად ებრაელებისათვის ისრაელის მიწას ღრმა რელიგიური და ისტორიული მნიშვნელობა აქვს: მათთვის ესაა წინაპართა მიწა ანუ მათი ისტორიული სამშობლო, რომელიც მათთვის იყო აღთქმული (ანუ დაპირებული) ძველი აღთქმის ტექსტის თანახმად. ათასწლეულების განმავლობაში ფესვებს მოწვეტილი, ისტორიული მიწიდან იძულებით გადასახლებული ებრაელები ძლიერ სულიერ და კულტურულ კავშირს მუდამ ინარჩუნებდნენ ამ პატარა, მაგრამ უსაზღვროდ დიდი მნიშვნელობის მქონე მიწასთან.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გაეროს გეგმით, პალესტინის რეგიონი ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებად გაყვეს. სახელი „ისრაელი“ შეირჩა ახალი სახელმწიფოსთვის, რადგან ასახავდა მის ებრაულ მემკვიდრეობას და თვითგამორკვევისკენ მისწრაფებებს. ისტორიული სახელწოდება „ისრაელი“ სათავეს იღებს ძველი აღთქმიდან და ბიბლიურ პატრიარქ იაკობს აღნიშნავს. ბიბლიური გადმოცემის თანახმად, იაკობის შტამომავლებმა ისრაელის თორმეტი ტომი შექმნეს და ისრაელის ძველი სამეფო დააარსეს. ისრაელის დაარსების შემდეგ პალესტინელებად მოიხსენიებენ ამ რეგიონის არაბ მოსახლეობას.

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე დამაინტრიგებელი ასპექტი ისაა, რომ 1850 წელს არც ებრაელები და არც არაბები არ მიიჩნევდნენ თავს ეთნიკურად, კულტურულად, ენობრივად ჰომოგენური ეროვნული სახელმწიფოების ნაწილად, თანამედროვე გაგებით განსაზღვრული ტერიტორიული საზღვრებით. ას წელზე ნაკლებ დროში კი ორივე ეთნიკურმა ჯგუფმა ისეთი ძლიერი ეროვნული კავშირები ჩამოაყალიბა ერთსა და იმავე მიწასთან მიმართებით, რომ სამუდამოდ განწირულნი არიან თავიანთი მოწინააღმდეგის სისხლი ღვარონ უწყვეტ ბრძოლაში. ამ კონფლიქტს საფუძველი ჩაეყარა 1917 წელს, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა მოცემული მიწის კოლონიზაციის გეგმა მიიღო ებრაული პოლიტიკური ჯგუფის, სიონისტების სურვილებზე დაყრდნობით.

2. ისრაელის დამფუძნებელი დოკუმენტები და პალესტინის რეგიონის განაწილების გეგმა

XIX საუკუნის ბოლოს ევროპა ნაციონალისტურმა მოძრაობებმა მოიცვა, რამაც ებრაელებზეც მოახდინა დიდი ზეგავლენა. რამდენიმე ებრაელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მხარს უჭერდა ისრაელის მიწაზე

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ებრაული სახელმწიფოს ხელახლა შექმნის იდეას. ებრაელების პალესტინაში დასაბრუნებლად ორი დაჯგუფება ჩამოყალიბდა: სიონისტები ანუ „სიონის მოყვარულები“ (Hovevei Zion) და ბილუ (Bilu),[1] რაც ებრაული აკრონიმია „ისაიას წიგნიდან“ (2:5): „იაკობის სახლეულო, წავიდე!“ (*Beit Ya'akov Lekhu Ve-nelkha*). აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრები ებრაელები 1881-1884 წლებში ორგანიზებულად გაერთიანდნენ სიონისტებად. ბილუს ქარტია 1882 წელს შეიქმნა უკრაინულ ქალაქ ხარკოვში, რუსეთის იმპერიაში მიმდინარე ანტიებრაული დარბევების („პოგრომები“) საპასუხოდ. ორივე გაერთიანება ემსახურებოდა პირველ ალიას[2] ანუ ისრაელში ემიგრირებას და სხვადასხვა ხერხით უწყობდა ხელს ამ პროცესს.

როდესაც ებრაელები მასობრივად ტოვებდნენ რუსეთის იმპერიას, მათ დასახმარებლად მოქმედებდნენ სპეციალური რეკრუტები. ისინი ახალგაზრდა ებრაელებს პალესტინაში აგზავნიდნენ, ყიდულობდნენ მათთვის მიწას და ასახლებდნენ. ბილუს ქარტიიდან[3] ცხადი იყო, რომ ამ ორგანიზაციის წევრებს საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და გაერთიანების დიდი იმედი ჰქონდათ.

ბილუს ქარტია[4] 1882 წელს გამოსცა ახალგაზრდა რუსი ებრაელების ჯგუფმა. ბილუ, რეალურად, ებრაელებისადმი მოწოდებას წარმოადგენდა, ემიგრაციაში წასულიყვნენ პალესტინის მიწაზე და დაეარსებინათ სასოფლო-სამეურნეო დასახლებები (კიბუცები). ბილუს მანიფესტის ძირითადი მიზნები იყო:

1. სიონში დაბრუნება: მანიფესტი გახაზავდა ებრაელი ხალხის ისტორიულ და სულიერ კავშირს ისრაელის მიწასთან (მაშინდელ პალესტინასთან). ტექსტი მოუწოდებდა ებრაელებს სამშობლოში დაბრუნებისკენ, რაც ებრაულ დიასპორაში მათი მრავალსაუკუნოვანი დევნისა და გაჭირვების დასასრულად ესახებოდათ;

BRAMS 2024 May
Volume 5, Issue 10
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

2. აგრარული აღმავლობა: მანიფესტის ძირითადი იდეა იყო კიბუცების ანუ სასოფლო-სამეურნეო დასახლებების შექმნა. მიწის დამუშავებითა და თვითკმარ ფერმერებად გახდომით, ემიგრირებულ ებრაელებს არა მხოლოდ საარსებო წყარო მიეცემოდათ, არამედ გააძლიერებდნენ ებრაელთა დამკვიდრების პროცესს და საფუძველს ჩაუყრიდნენ მომავალ ებრაულ სახელმწიფოს;
3. ეროვნული აღორძინება: მანიფესტი გადმოსცემდა ადრეულ სიონისტურ ხედვას ეროვნული აღორძინების თაობაზე, რომლის მიხედვითაც ებრაელები დაიბრუნებდნენ თავიანთ იდენტობას, ღირსებასა და ავტონომიას;
4. პასუხი დევნაზე: მანიფესტი უშუალო რეაქცია იყო რუსეთის იმპერიაში განხორციელებულ ანტისემიტურ ძალადობაზე. იგი სახავდა პალესტინაში ემიგრაციის გეგმას, როგორც დევნისგან თავის დაღწევის აუცილებელ საშუალებას და პრაქტიკულ ნაბიჯს ებრაელი ხალხისთვის უსაფრთხო და სტაბილური მომავლის უზრუნველსაყოფად.

***

ბუდაპეშტში დაბადებული ავსტრიელი ებრაელი ჟურნალისტისა და იურისტის, თეოდორ ჰერცლის[5] (Theodor Herzl, 1860-1904) მიერ 1896 წლის 14 თებერვალს გამოქვეყნებული პამფლეტი „ებრაული სახელმწიფო“[6] (*Der Judenstaat*)[7] უმთავრესი ნაშრომია, რომელმაც ინტელექტუალური და პოლიტიკური საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სიონიზმს. ევროპაში ფეხმოკიდებულმა გაუთავებელმა ანტისემიტიზმმა, განსაკუთრებით კი საფრანგეთში მომხდარმა „დრეიფუსის საქმემ“, ჰერცლს გადააწყვეტინა მხარი დაეჭირა ებრაული სახელმწიფოს შექმნის იდეისთვის. „პალესტინა ჩვენი დაუვიწყარი ისტორიული სამშობლოა... ნება მომეცით, კიდევ ერთხელ

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გავიმეორო ჩემი თავდაპირველი ნათქვამი: ებრაელები, რომელთაც სურთ ჰქონდეთ სახელმწიფო, ექნებათ კიდეც. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვიცხოვრებთ, როგორც თავისუფალი ადამიანები ჩვენსავე მიწაზე და მშვიდად განვისვენებთ საკუთარ სახლებში. მსოფლიო განთავისუფლდება ჩვენი თავისუფლებით, გამდიდრდება ჩვენი სიმდიდრით, განდიდდება ჩვენი სიდიადით. და რის გაკეთებასაც იქ შევეცდებით ჩვენივე კეთილდღეობისათვის, ასევე მომგებიანი იქნება მთელი კაცობრიობისთვის“.[8]

შვეიცარიის ქალაქ ბაზელში კონგრესმა აღნიშნა სიონისტური მოძრაობის ფორმალური დასაწყისი.[9] 1897 წლის აგვისტოს მიწურულს ჩამოყალიბებული „ბაზელის პროგრამა“ (Basel Program) მოითხოვდა „პალესტინაში ებრაელი ხალხისთვის საჯარო კანონით უზრუნველყოფილი სახლის“[10] შექმნას. იგი პირველმა სიონისტურმა კონგრესმა[11] დაამტკიცა. ამ სამდღიანმა კონგრესმა სრულიად ახალი მიმართულებით წაიყვანა როგორც ებრაელი ხალხი, ისე XX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული მსოფლიო გლობალური პოლიტიკაც.

ბალფურის დეკლარაცია 1917 წლის 9 ნოემბერს, პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას გაასაჯაროვა ინგლისური პრესის საშუალებით. 67-სიტყვიანი ტექსტი 2 ნოემბრით დათარიღებული წერილის[12] ნაწილია, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ართურ ბალფურმა (Arthur Balfour, 1848-1930) რომ მისწერა ლორდ უოლტერ როტშილდს (Walter Rothschild, 1868-1937). ბალფურის დეკლარაცია გარდამავალი დოკუმენტი გამოდგა ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. მასში ბრიტანეთის მთავრობამ მხარდაჭერა გამოუცხადა „ებრაელი ხალხის ეროვნული სახლის“ პალესტინაში დაარსების იდეას. ამ დეკლარაციაზე გავლენა იქონია ბრიტანეთის სტრატეგიულმა ინტერესებმა პირველი

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მსოფლიო ომის დროს და სიონისტთა ლიდერის, ხაიმ ვაიცმანის (Chaim Weizmann, 1874-1952) ძალისხმევამ.

იმ დროს პალესტინის მოსახლეობის უმრავლესობას არაბები შეადგენდნენ. დეკლარაციამ გზა გაუხსნა ებრაელთა ემიგრაციის ზრდას, მნიშვნელოვნად შეცვალა დემოგრაფიული სიტუაცია, რის გამოც გამძაფრდა დაძაბულობა ებრაელებსა და არაბებს შორის.

ბალფურის დეკლარაცია მოგვიანებით პალესტინის ერთა ლიგის მანდატში შევიდა, რამაც მას საერთაშორისო იურიდიული აღიარება მოუტანა. თუმცა, ეს მიუღებელი აღმოჩნდა არაბებისთვის, რადგან მოცემული დოკუმენტის შინაარსი ეწინააღმდეგებოდა არაბთა დამოუკიდებლობის დაპირებას, რომელიც მანამდე ჰქონდა ბრიტანეთის მთავრობას მიცემული. შესაბამისად, ბალფურის დეკლარაციას ღალატად განიხილავდნენ არაბები. ასეთმა კონფლიქტურმა მემკვიდრეობამ გამოიწვია ისრაელისა და პალესტინის ხანგრძლივი დაპირისპირება.

ბალფურის დეკლარაცია წარმოადგენდა სიონიზმის გეგმის რეალურად განხორციელებისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს. ეს ნათლად გამოიკვეთა 1897 წელს პირველი სიონისტური კონგრესის სხდომაზე ქალაქ ბაზელში: „სიონიზმი ცდილობს საჯარო სამართლით დაცული სახლი შეუქმნას ებრაელ ხალხს პალესტინაში“.[13] თუმცა ეს დეკლარაცია პირობითი იყო და არ წარმოადგენდა ერთი კონკრეტული ერის აქტს. იგი წინასწარ დაამტკიცეს მოკავშირეთა ძალებმა, რომელთა კონსენსუსი მაშინ საერთაშორისო კანონიერების ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. ბალფურის დეკლარაცია ისეთ საერთაშორისო რეალობას ელოდებოდა, მხოლოდ 30 წლის შემდეგ რომ დადგა: მიიღეს გაეროს რეზოლუცია, რომელიც ებრაული სახელმწიფოს დაარსების ლეგიტიმაციას ითვალისწინებდა.[14] 30 წლით ადრე კი, ბალფურის

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დეკლარაცია მხოლოდ გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა, რომელმაც ებრაელთა პალესტინის რეგიონთან ისტორიული კავშირები პოლიტიკურად აღიარა და მომავალში არაბულ მოსახლეობასთან კონფლიქტის მნიშვნელოვანი საფუძველი წარმოქმნა. ეს იყო 1948-1972 წლების პრობლემისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი.

***

1919 წლის 3 იანვარს გაფორმებულ ფაიზალ-ვაიცმანის შეთანხმებას[15] ხელი მოაწერეს ჰიჯაზის სამეფოს ემირმა, ფაიზალ I-მა (1885-1933) და სიონისტური ორგანიზაციის მეთაურმა, ხაიმ ვაიცმანმა. დოკუმენტი არაბებსა და ებრაელებს შორის რასობრივ ნათესაობასა და ძველ კავშირებს გახაზავდა, რაც მიზნად ისახავდა მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებას. მხარეებმა თავთავიანთი ტერიტორიების გაკონტროლების ვალდებულება აიღეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. საზღვრები სამშვიდობო კონფრენციის შემდეგ დაადგინა კომისიამ. შეთანხმება ხელს უწყობდა ებრაელთა ფართომასშტაბიან მიგრაციას პალესტინაში და მათ სწრაფ განასახლებას ისტორიულ მიწაზე ინტენსიური კულტივირების გზით. ეს პროცესი უნდა განხორციელებულიყო არაბი გლეხებისა და მოიჯარე ფერმერების უფლებათა დაცვით. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებდა აღმსარებლობის თავისუფლების დაცვას, ყოველგვარი რელიგიური დისკრიმინაციის გამორიცხვას და მუსლიმების მიერ მაჰმადის (მუჰამადის) წმინდა ადგილების მუდმივი კონტროლის გარანტიას უზრუნველყოფდა. შეთანხმება მოიცავდა დებულებებს როგორც პალესტინის, ისე არაბული სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობების კვლევებისა და სიონისტური ორგანიზაციის დახმარებით ბუნებრივი რესურსებისა და ეკონომიკური პოტენციალის განვითარების თაობაზე. პალესტინელ არაბებსა და ემიგრანტ ებრაელებს შორის დავები საარბიტრაჟოდ

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბრიტანეთის მთავრობას გადაეცა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მშვიდობის კონგრესის წინაშე ყველა საკითხში იმოქმედებდნენ სრული თანხმობითა და ჰარმონიით.[16]

***

„თეთრი ფურცლები“ (white papers)[17] ბრიტანეთის სამთავრობო კომისიის ოფიციალური მოხსენებებია, რომლებიც გამოიცა პალესტინის ტერიტორიაზე ბრიტანეთის მანდატის პერიოდში 1922, 1930 და 1939 წლებში.

- „1922 წლის თეთრი ფურცელი“[18] პირველი ოფიციალური ანგარიშია, რომელიც ბალფურის დეკლარაციას უკეთებს ახსნა-განმარტებას. გამოიცა მას შემდეგ, რაც ჰაიკრაფტის საგამოძიებო კომისიამ[19] გამოაქვეყნა თავისი დასკვნები 1921 წლის არაბთა აჯანყების შესახებ. მან შეამცირა მანდატის ტერიტორია მდინარე იორდანეს აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის გამოკლებით, რომელიც ემირ აბდულას გადაეცა. ამ ანგარიშმა ასევე დაადგინა ეკონომიკური შთანმთქმელი შესაძლებლობების პრინციპი, როგორც ფაქტორი, პალესტინაში ებრაელთა ემიგრაციის კვოტის განსაზღვრისათვის.
- „1930 წლის თეთრი ფურცელი“[20] 21 ოქტომბერს გამოიცა. იგი 1929 წლის არაბთა აჯანყების მიზეზებზე საუბრობს. დოკუმენტი ემყარება სერ ჯონ ჰოუპ-სიმპსონის კომისიის[21] დასკვნებს, რომელიც იკვლევდა პალესტინაში მიმავალი ემიგრაციის შესაძლებლობებს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახნავი მიწების სიმცირის გამო, ებრაული დასახლება დაიშვებოდა მხოლოდ მთავრობის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.
- 23 მაისს გამოცემულ „1939 წლის თეთრ ფურცელში“[22] ნათქვამია, რომ პალესტინა არ

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

იქნება არც ებრაული და არც არაბული, არამედ – დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ათი წლის განმავლობაში უნდა შეიქმნას. პალესტინაში ებრაელ ემიგრანტთა რაოდენობა პირველი ხუთი წლის განმავლობაში 75 ათასით შემოიფარგლებოდა და ქვეყნის ეკონომიკური „შთანთქმის“ პერსპექტივის გათვალისწინებით იზღუდებოდა ნაკადი. არაბთა თანხმობაზე იქნებოდა დამოკიდებული ამ რიცხვის შეცვლა. ებრაელების მიერ მიწის ყიდვაზე მკაცრი შეზღუდვები დაწესდა. პალესტინის ებრაული სააგენტოს თქმით, ბრიტანელებმა მხარი არ დაუჭირეს ებრაელ ხალხს და მათ უფლებები არ დაიცვეს „ებრაელთა ისტორიის ყველაზე ბნელ დროს“.[23] „1939 წლის თეთრი ფურცელი“ განიხილავდა ფაქტორების კომპლექსურ ურთიერთკავშირს. დოკუმენტში საუბარი იყო პრობლემურ საკითხებზე: ძალადობრივი არაბული აჯანყება, მზარდი არაბული ნაციონალიზმი, ბრიტანეთის სტრატეგიული ინტერესები, საერთაშორისო ზეწოლა და ეკონომიკური მოსაზრებები. ანგარიში ცდილობდა ებრაელთა და არაბთა მოთხოვნების დაბალანსებას, მაგრამ, საბოლოოდ, ვერცერთი მხარე ვერ დააკმაყოფილა.

„თეთრი ფურცლების“ შემაკავებელი ზომები ებრაელი ემიგრანტების რაოდენობისა და ექსპატების მიერ პალესტინაში მიწის ყიდვაზე არაბთა აღშფოთების შემცირებას ისახავდა მიზნად რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. შედეგი წარუმატებელი გამოდგა, რადგან ბრიტანული ანგარიშებით დაწესებულ შეზღუდვებს ებრაელთა წინაარმდეგობის გაზრდა მოჰყვა. საბოლოოდ, „თეთრმა ფურცლებმა“ პალესტინის მარადიულ კონფლიქტს ჩაუყარა საფუძველი.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

აღნიშნულ მიზეზთა გააზრება ნათელს ფენს იმ ფაქტებს, თუ რატომ დაიკავა ბრიტანეთის მთავრობამ ძალზე საკამათო პოზიცია და რატომაა ასე ხანგრძლივი „თეთრი ფურცლების“ გავლენა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტზე.

3. გაეროს გაყოფის გეგმა

ალტერნატივების განხილვის შემდეგ, გაერომ მხარეებს შესთავაზა ბრიტანეთის მანდატის შეწყვეტა და პალესტინის დაყოფა ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ: არაბულ და ებრაულ. ამავე დროს, უნდა მომხდარიყო იერუსალიმის ინტერნაციონალიზაცია 1947 წლის 181 (II) რეზოლუციის თანახმად. დაგეგმილი ორი სახელმწიფოდან მხოლოდ ერთმა – ისრაელმა[24] გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

დაყოფის გეგმამ ჭადრაკული სახე მიიღო, დიდწილად, იმის გამო, რომ ებრაული ქალაქები და სოფლები მთელი პალესტინის რეგიონში იყო მიმოფანტული. გეგმას ამაზე უფრო ართულებდა ის ფაქტი, რომ ებრაულ დასახლებებში ცხოვრების მაღალმა დონემ არაბული მოსახლეობა „დაჩაგრა“. ეს ფაქტორი მიუთითებდა იმაზე, რომ ნებისმიერი დაყოფა ებრაული სახელმწიფოს წარმოქმნას გამოიწვევდა. ებრაელთა დამატებითი დასახლების აუცილებლობის აღიარებითა და უმრავლესობის დასტურით, ებრაელებს გამოეყოთ მიწა პალესტინის ჩრდილოეთ ნაწილში, გალილეაში და სამხრეთით მდებარე ნეგევის უდაბნოში.[25] ამ ეტაპზე უკიდურესად გამწვავდა არაბული სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა.

საზღვრები ეფუძნებოდა მხოლოდ დემოგრაფიულ მონაცემებს. ებრაული სახელმწიფოს საზღვრები უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღების გარეშე არსებობდა. შესაბამისად, ახალი ქვეყნის საზღვრები

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

პრაქტიკულად დაუცველი იყო. საერთო ჯამში, ებრაულ სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა დაახლ. 5 500 კვ. მილი, ხოლო მოსახლეობა უნდა ყოფილიყო 538 ათასი ებრაელი და 397 ათასი არაბი. არაბული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო 4 500 კვ. მილი, 804 ათასი არაბი და 10 ათასი ებრაელი მოსახლით. მართალია, ებრაელებს გაცილებით მეტი მიწა ერგოთ მთლიანობაში, მათი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი უდაბნო იყო.

სიტუაციას დამატებით სირთულეებს უქმნიდა გაეროს უმრავლესობის დაჟინებული მოთხოვნა, რომ იერუსალიმი (იერუსალიმ-ბეთლემის რეგიონი) ორივე სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ყოფილიყო და საერთაშორისო ზონის შესაბამისი კანონმდებლობით მომხდარიყო მისი ადმინისტრირება. ამ შეთანხმების გამო, იერუსალიმში 100 ათასზე მეტი ებრაელი დარჩა იზოლირებული.

არაბები შეადგენდნენ მთლიანი პალესტინის მოსახლეობის უმრავლესობას – 1.2 მლნ არაბი 600 ათასი ებრაელის წინააღმდეგ. დიდი ბრიტანეთის მიერ დაწესებული შემზღუდავი საემიგრაციო პოლიტიკის გამო, ებრაელებს არასოდეს ჰქონიათ უმრავლესობის მიღწევის შანსი ახალ სახელმწიფოში. ამის საპირისპიროდ, არაბებს თავისუფლად შეეძლოთ გადაადგილება და ათასობით ადამიანმა ისარგებლა სიონისტური დასახლებით განპირობებული სწრაფი განვითარებით. თუმცა, ებრაელები უმრავლესობას შეადგენდნენ რეზოლუციით მათთვის მინიჭებულ ტერიტორიასა და იერუსალიმში.

პალესტინის ისტორიული მიწისა და ებრაული ეროვნული სახლის თითქმის 80 პროცენტი, როგორც ეს განსაზღვრული იყო ერთა ლიგის მიერ, ბრიტანელებმა 1922 წელს გადაანაწილეს და იქ ებრაული დასახლებები აკრძალეს. პალესტინის დარჩენილი 20 პროცენტი გაერომ ორ სახელმწიფოდ დაყო.[26]

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გაეროს სპეციალურმა კომიტეტმა პალესტინაზე გასცა რეკომენდაციები მოცემული ტერიტორიის მომავალი მთავრობის შესახებ. 1947 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ კენჭი უყარა გაყოფის გეგმას, რომელიც მიიღო 33 ხმით 13-ის წინააღმდეგ, 10-მა თავი შეიკავა. ებრაულმა მხარემ მიიღო გაეროს გეგმა ორი სახელმწიფოს შექმნის შესახებ. არაბებმა უარი თქვეს მასზე და გამანადგურებელი ომი წამოიწყეს ახალი ებრაული სახელმწიფოს წინააღმდეგ.

4. ისრაელის სახელმწიფოს შექმნა

1948 წლის 14 მაისს, პალესტინაზე ბრიტანეთის მანდატის ამოწურვის დღეს, ებრაელთა სახალხო საბჭო თელ-ავივის მუზეუმში შეიკრიბა, სადაც დაამტკიცა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომლის ძალითაც ისრაელის სახელმწიფოს შექმნა ოფიციალურად გამოცხადდა. ტექსტი საჯაროდ წაიკითხა დავიდ ბენ-გურიონმა. ახალი სახელმწიფო იმავე საღამოს აღიარა შეერთებულმა შტატებმა, ხოლო სამი დღის შემდეგ – საბჭოთა კავშირმა.[27]

ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაცია შვიდნაწილიანია და ექვს საკითხს მოიცავს:

1. ამტკიცებს ებრაელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებებს თავიანთ სუვერენულ სახელმწიფოში;
2. აცხადებს ებრაული სახელმწიფოს შექმნას სახელწოდებით „ისრაელის სახელმწიფო“;
3. აყალიბებს სახელმწიფო მმართველობის დროებით ინსტიტუტებს;
4. აცხადებს, რომ არჩეული დამფუძნებელი ასამბლეა რამდენიმე თვეში ჩამოაყალიბებს კონსტიტუციას;
5. აყალიბებს ახლადშექმნილი სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის პრინციპებს;

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

6. მოუწოდებს მშვიდობისა და თანამშრომლობისკენ – ისრაელში მცხოვრებ არაბებთან, მეზობელ ქვეყნებსა და ებრაელებთან მთელს მსოფლიოში.[28]

დასკვნა

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი 1948 წლიდან 1973 წლამდე ომებისა და პოლიტიკური ბრძოლების გაუთავებელ წყებას წარმოადგენდა, რამაც მკვეთრად შეცვალა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური რეალობა. კონფლიქტი დაიწყო 1948 წელს ისრაელ-პალესტინის პირველი ომით, გაეროს გაყოფის გეგმითა და შემდგომში ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებით. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ისრაელის დაარსება და პალესტინელების მნიშვნელოვანი ნაწილის გადაადგილება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ხანგრძლივ დაძაბულობასა და მტრობას, დღემდე რომ გრძელდება. პარალელურად, ადგილი აქვს მძაფრ დაპირისპირებებს, შედარებით მშვიდობიან პერიოდებთან ერთად.

1956 წელს სუეცის კრიზისმა კიდევ უფრო დაამძიმა ისედაც არასახარბიელო ურთიერთობები, როდესაც ისრაელი, ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ერთად, ეგვიპტეში შეიჭრა ეგვიპტის სახელმწიფოს მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციის პასუხად. ამ კონფლიქტმა გახაზა სუეცის არხის სტრატეგიული მნიშვნელობა და დასავლეთის ფართო გეოპოლიტიკური ინტერესები რეგიონში. კრიზისის დროს შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ინტერვენციამ წარმოაჩინა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გლობალური მასშტაბი „ცივი ომის“ კონტექსტში.

1967 წლის 6-დღიანმა ომმა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოიტანა. ისრაელმა მიაღწია სწრაფ და გადამწყვეტ გამარჯვებას ეგვიპტის, იორდანიისა და სირიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისრაელის მიერ სინაის

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ნახევარკუნძულის, დასავლეთ სანაპიროს, აღმოსავლეთ იერუსალიმისა და გოლანის მაღლობების[29] ოკუპაციამ არა მხოლოდ შეცვალა ფიზიკური საზღვრები, არამედ გააძლიერა არსებული კონფლიქტი ახალი სადავო საკითხების შექმნით (განსაკუთრებით, იერუსალიმისა და პალესტინის ტერიტორიების სტატუსი).

იომ-ქიფურის ომი[30] 1973 წელს კიდევ უფრო გამოკვეთს კონფლიქტის უწყვეტ და ძალადობრივ ხასიათს. იომ-ქიფურის ომმა არაბთა თავდაპირველი წარმატებები და უპირატესობები გამოავლინა, რასაც, საბოლოოდ, ისრაელის სამხედრო დომინირება მოჰყვა. ამან ასევე გამოიწვია მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრები, მათ შორის, აშშ-ის შუამავლობით დადებული კემპ-დევიდის შეთანხმება, რომლის შედეგადაც 1979 წელს ხელი მოეწერა ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო ხელშეკრულებას.

აღნიშნულმა მოვლენებმა სრულიად შეცვალა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური სურათი. კონფლიქტმა განამტკიცა ისრაელის, როგორც ცენტრალური სახელმწიფოს პოზიცია, რომელსაც ხშირად უჭერდნენ მხარს დასავლური ძალები, განსაკუთრებით, შეერთებული შტატები. კონფლიქტმა საპირისპირო ეფექტიც მოახდინა, რადგან არაბულ სახელმწიფოებს შორის ერთიანობის სულისკვეთება გაზრდა. პალესტინელი ლტოლვილების არსებობა და პალესტინის სახელმწიფოებრიობის საკითხი მუდმივ პრობლემად გადაიქცა, რაც იწვევს რეგიონის არასტაბილურობასა და რადიკალური ექსტრემისტული დაჯგუფებების გაჩენას.

არაბულ-ისრაელ-პალესტინის კონფლიქტით გამოწვეული პრობლემები დღემდე მტკივნეულ პოლიტიკურ გავლენას ახდენს ახლო აღმოსავლეთზე: პალესტინის ტერიტორიების სტატუსის საკითხი მოუგვარებელია, საომარი დაპირისპირებები პერიოდულად მძაფრდება, ისრაელის სახელმწიფოსა და არაბული

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ქვეყნების არასტანდარტული დიპლომატიური ურთიერთობები კვლავაც უმთავრესი თავსატეხია რეგიონული თუ გლობალური პოლიტიკისთვის. კონფლიქტი ზემოქმედებს მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკაზეც, იწვევს ალიანსების ჩამოყალიბებასა და რეგიონში საერთაშორისო ძალების ჩარევას. XX საუკუნეში დაწყებული ისტორიული დავა და პოლიტიკური დინამიკა დღემდე ახდენს გავლენას ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა სტრატეგიული გათვლების ფორმირებაზე. ამას ბუნებრივად მოსდევს რთული და, ხშირად, არასტაბილური გეოპოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბება.

ლიტერატურა ▫ References

1. Laskov, Shulamit (March 1981). The Biluim: Reality and legend. *Studies in Zionism*, 2(1), 17-69. https://doi.org/10.1080/13531048108575798
2. Gil, Moshe (1983). Aliya and Pilgrimage in the Early Arab Period (634–1009). *The Jerusalem Cathedra: Studies in the History, Archaeology, Geography and Ethnography of the Land of Israel*. Yad Izhak Ben Zvi and Wayne State University Press.
3. Gartman, Eric (2015). *Return to Zion: The history of modern Israel*. Jewish Publication Society, pp. 14-15.
4. ბილუს ქარტია (დოკუმენტის ორიგინალის ფოტო). Retrieved from <https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/c/c0/BILU-SEPT1882.png>
5. Ben-Gurion, David (2025, August 31). Theodor Herzl. *Encyclopedia Britannica*. Retrieved from <https://www.britannica.com/biography/Theodor-Herzl>
6. Herzl, Theodor (2008). *The Jewish State* (Louis Lipsky & Alex Bein, Eds.; EBook No. 25282). Project Gutenberg. Retrieved from <https://www.gutenberg.org/files/25282/25282-h/25282-h.htm>

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

7. ჰერცლი თეოდორ (1896). ებრაული სახელმწიფო (პამფლეტი გერმანულ ენაზე). Retrieved from <https://de.wikisource.org/wiki/Der_Judenstaat>
8. “Palestine is our ever-memorable historic home... Let me repeat once more my opening words: The Jews who wish for a State will have it. We shall live at last as free men on our own soil, and die peacefully in our own homes. The world will be freed by our liberty, enriched by our wealth, magnified by our greatness. The world will be freed by our liberty, enriched by our wealth, magnified by our greatness. And whatever we attempt there to accomplish for our own welfare, will react powerfully and beneficially for the good of humanity.” Herzl, Theodor (2008). *The Jewish State* (Louis Lipsky & Alex Bein, Eds.; EBook No. 25282). Project Gutenberg. Retrieved from <https://www.gutenberg.org/files/25282/25282-h/25282-h.htm>
9. Epstein, Lawrence J. (2016). *The dream of Zion: The story of the First Sionist Congress*. Bloomsbury Publishing.
10. Kalev, Gol (2017, August 30). 120 years later: 3 days in Basel that changed the course of the Jewish nation. *Europe and Jerusalem*. Reprints from the *Jerusalem Post*. Retrieved from <https://europeandjerusalem.com/120-years-later-3-days-in-basel-that-changed-the-course-of-the-jewish-nation/>
11. The jubilee of the First Zionist Congress, 1897-1947 (1947). Retrieved from <https://ufdc.ufl.edu/UF00072101/00001/images>
12. Balfour, Arthur (1917, November 2). *Dear Lord Rothschild...* Retrieved from <https://en.wikipedia.org/wiki/Balfour_Declaration#/media/File:Balfour_declaration_unmarked.jpg>
13. Kalev, Gol (2017, August 30). 120 years later: 3 days in Basel that changed the course of the Jewish nation. *Europe and Jerusalem*. (Basle Program (1897): “Zionism seeks to establish a home for the Jewish people in Palestine secured under public law”).
14. Kramer, Martin (2017, June 5). The forgotten truth about the Balfour Declaration. Harvard University. Retrieved June 6, 2024, from <https://www.washingtoninstitute.org/pdf/view/2855/en>

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

15. Faisal Weizmann Agreement 1919 (signature page with TE Lawrence translation of Faisal's caveat). Retrieved from <https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/9/99/Faisal_Weizmann_agreement_1919%2C_signature_page_with_TE_Lawrence_translation_of_Faisal%27s_caveat.jpg>
16. Antonius, George (1939). The Arab awakening: The story of the Arab national movement. J. B. Lippincott Company, pp. 437-439.
17. თეთრი დოკუმენტი მოხსენებაა (ანგარიში ან სახელმძღვანელო), რომელიც მკითხველს ლაკონიურად აწვდის ინფორმაციას რთული საკითხის შესახებ და წარმოადგენს გამომცემელი ორგანიზაციის თვალსაზრისს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. თეთრი დოკუმენტის მიზანია, მკითხველს დაეხმაროს კონკრეტული საკითხის გაგებაში, პრობლემის გადაჭრასა თუ გადაწყვეტილების მიღებაში. ეს ტერმინი 1920-იან წლებში გაჩნდა და ნიშნავდა ბრიტანეთის სამთავრობო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ, ოფიციალური პოზიციის გამომხატველ დოკუმენტს ან ინდუსტრიულ ანგარიშს (A white paper is a report or guide that informs readers concisely about a complex issue and presents the issuing body's philosophy on the matter. It is meant to help readers understand an issue, solve a problem, or make a decision. The term originated in the 1920s to mean a type of position paper or industry report published by a department of the UK government. In: Barney, Nick (2023, April 18). White paper. *TechTarget*. Retrieved from <https://www.techtarget.com/whatis/definition/white-paper>).
18. The Churchill White Paper of 3 June 1922 (referred to as "British Policy in Palestine"). Retrieved from <https://ecf.org.il/issues/issue/248>
19. Haycraft Commission of Inquiry. Retrieved from < https://www.palquest.org/en/historictext/6710/report-haycraft-commission-inquiry-may-1921-jaffa-riots >
20. Lord Passfield, Sidney Webb (1930, October 20). The Passfield White Paper. Retrieved from <https://www.palquest.org/en/historictext/6716/passfield-white-paper>

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

21. Hope Simpson, Sir John C.I.E. (1930). Report on Immigration, Land Settlement and Development. Retrieved from <https://babel.hathitrust.org/cgi/pt?id=mdp.39015008167853&seq=5> // Hope Simpson, John (1930, October 1). Hope Simpson Report. Retrieved from <https://ecf.org.il/issues/issue/1461>
22. Chamberlain, Neville (1939, May 23). The White Paper of 1939. Retrieved from <https://avalon.law.yale.edu/20th_century/brwh1939.asp>
23. Jewish Virtual Library (n.d.). British Palestine Mandate: British white papers. Retrieved June 6, 2024, from <https://www.jewishvirtuallibrary.org/the-british-white-papers>
24. United Nations (n.d.). The question of Palestine. Retrieved June 26, 2024, from <https://www.un.org/unispal/history/>
25. მკვდარი ზღვისა და აღმ. ნეგევში მდებარე მასადას უძველესი ციხესიმაგრის გარდა, ამ კლდოვან უდაბნოში უნიკალური გეოლოგიური მახასიათებლის მქონე ღრმა კრატერები – მახტეშიმები მდებარეობს. მსგავსი კრატერული ლანდშაფტი არსებობს მხოლოდ ნეგევის უდაბნოსა და მის გაგრძელებაზე – ეგვიპტის სინაის მთამდე.
26. The Secretary of State for Foreign Affairs. (1947, February 18). The partition plan: Background & overview. In Palestine conference (Government policy) (Vol. 433). House of Commons, UK Parliament. Retrieved from <https://hansard.parliament.uk/commons/1947-02-18/debates/4f8bc0e9-f2d5-4267-8d07-10707986db6e/PalestineConference(GovernmentPolicy)#main-content>
27. Ministry of Foreign Affairs (1948, May 14). The Declaration of the Establishment of the State of Israel. Retrieved from <https://www.gov.il/en/pages/declaration-of-establishment-state-of-israel>
28. Prof. E. Gutmann (n.d.). Establishment of Israel: Analysis of Israel's Declaration of Establishment. *Jewish Virtual Library*. Retrieved from <https://www.jewishvirtuallibrary.org/analysis-of-israel-s-declaration-of-establishment>

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

29. გოლანის მაღლობები (Golan Heights) 1000 კვ.კმ-ის ფართობის კლდოვანი პლატოა სირიის სამხრეთ-დასავლეთით, ისრაელის, ლიბანისა და იორდანიის საზღვარზე. 1967 წელს ისრაელმა სირიას წაართვა ეს ტერიტორია, 1981 წელს კი მისი ანექსია მოახდინა. თუმცა საერთაშორისოდ აღიარებით ოკუპირებულ ტერიტორიად ითვლება, აშშ-მა 2019 წელს ისრაელის სუვერენიტეტი ცნო გოლანის მაღლობებზე. ტერიტორია სტრატეგიული მნიშვნელობისაა იქ არსებული წყლის მარაგისა და სტრატეგიული უსაფრთხოების გამო, რადგან ორივე ქვეყანას ესაზღვრება.
30. იომ-ქიფურის ომი (Yom Kippur War) მიმდინარეობდა 1973 წლის 6 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე. ასევე ცნობილია სახელწოდებებით: ისრაელ-პალესტინის მეოთხე ომი, ოქტომბრის ომი, რამადანის ომი და 1973 წლის ისრაელ-პალესტინის ომი. მიმდინარეობდა ისრაელის სახელმწიფოსა და არაბულ სახელმწიფოთა კოალიციას შორის, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ეგვიპტე და სირია. ბრძოლების უმეტესობა სინაის (სინის) ნახევარკუნძულსა და გოლანის მაღლობებზე გაიმართა. საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ეგვიპტისა და ჩრდ. ისრაელის ტერიტორიებზეც. იომ-ქიფური (ივრითზე „განკითხვის დღე“) იუდაიზის უწმინდესი და უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია სექტემბრის მიწურულსა თუ ოქტომბრის დასაწყისში. ესაა ცოდვათა მიტევების დღე, რომლითაც მთავრდება მძიმე მარხვის, აღსარებისა და მონანიების ათდღიანი პერიოდი იუდეველთათვის.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)